



საპროცესო შეთანხმება საქართველოში

თებერვალი, 2010 წ.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი 2004 წლის თებერვალში საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საპროცესო შეთანხმების შემოღება იყო. საპროცესო შეთანხმება არის „შეთანხმება [პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის] იმაზე, რომ თუ ბრალდებული ბრალს აღიარებს, მას ჩადენილი დანაშაული შეუმცირდება ან მის მიმართ ნაკლებად მკაცრი სანქცია იქნება გამოყენებული“¹. პრინციპი მარტივია: ბრალდებული ბრალის პირდაპირ აღიარებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე უარის თქმის სანაცვლოდ გარკვეულ კომპენსაციას იღებს, რადგან ის ყველა მხარეს ათავისუფლებს ხანგრძლივი და ხარჯიანი სასამართლო პროცესისგან.

ამ, ერთი შეხედვით, სიმარტივის მიუხედავად, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პოზიციები არსებობს. ზოგიერთი იურისტი მას დადებითად აფასებს და არგუმენტად მოაქვს ის, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს ხდის. ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ ის სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას ზღუდავს და მართლმსაჯულებას ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცევს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება კანონის ფარგლებში ექცევა და აშშ-ის სამართლებრივ სისტემაში ფართოდ არის გავრცელებული, მის დანერგვაზე არაერთმა ქვეყანამ თქვა უარი. გაერთიანებული სამეფო უფრო შორს წავიდა და ის მოსამართლეები, რომლებმაც საპროცესო შეთანხმება არაფორმალურად გამოიყენეს, თანამდებობებიდან გაათავისუფლა².

ბოლო წლებში ამ მხრივ სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა. იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც საპროცესო შეთანხმება სხვადასხვა ფორმით ნებადართულია, ნელ-ნელა გაიზარდა. ის მოდიფიცირებული სახით ისეთ

¹ კოლინზის ლექსიკონის განმარტება.

² რ. ვერკაიკი, „მოსამართლეებს საპროცესო შეთანხმების გამოყენება ეკრძალებათ“, *Independent*, 05/12/2000.



კლასიკურ ინკვიზიტორულ სისტემებში³ კი შემოვიდა, როგორც საფრანგეთისა და გერმანიის სამართლებრივი სისტემებია.

ქართული საპროცესო შეთანხმება ინკვიზიტორული სისტემისთვის დამახასიათებელი ფორმისგანაც განსხვავდება. ის უკიდურესად ლიბერალური და თითქმის შეუზღუდავია.

ეს ანგარიში მიმოიხილავს, თუ როგორ მუშაობს საპროცესო შეთანხმება საქართველოში და რა გავლენას ახდენს ის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვაზე.

წინასტორია: საპროცესო შეთანხმება საქართველოს სამართლებრივ სისტემაში

საქართველოს სამართლებრივი სისტემა, კონტინენტური ევროპის სხვა სისტემების მსგავსად, ინკვიზიტორულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე გარკვეულწილად გამომძიებლის ფუნქციასაც ასრულებს. ის ეცნობა ორივე მხარის მტკიცებულებებს და ადგენს როგორც განაჩენს, ისე სასჯელის ფორმასა და ზომას. ამისგან განსხვავებით, ამერიკულ [არაინკვიზიტორულ] სისტემაში მოსამართლე მხოლოდ არბიტრის როლს ასრულებს.

პირდაპირი გაგებით საპროცესო შეთანხმება ინკვიზიტორულ სისტემაში არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ასეთ სისტემას „[არა] აქვს დანაშაულის აღიარების ეტაპი, ანუ ის ეტაპი, როცა ბრალდებულს შეუძლია თავი დამნაშავედ აღიაროს და ამით პროკურორი დანაშაულის დამამტკიცებელი ფაქტების მოკვლევის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს“⁴. ამერიკული და ბრიტანული, ე. ი. არაინკვიზიტორული სისტემებისგან განსხვავებით, სადაც აღიარებით საქმე წყდება, ინკვიზიტორულ სისტემაში ბრალდებულის აღიარება მიიჩნევა მხოლოდ ერთ-ერთ (თუმცა საკმაოდ დიდი გავლენის მქონე) მტკიცებულებად, რომელსაც მოსამართლე განაჩენის გამოტანისას ითვალისწინებს⁵.

პროცესი

საპროცესო შეთანხმების პროცედურები საკმაოდ მარტივია. ისინი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹ მუხლშია მოცემული. კანონის თანახმად, მოლაპარაკების დაწყება პროკურორსაც შეუძლია და ბრალდებულსაც. აუცილებელია მოლაპარაკებას ბრალდებულის ადვოკატი

³ ამ ტერმინის განმარტება იხილეთ ქვემოთ.

⁴ გაზალ-აიალი, ორენი და რიზა, ლიმორი, „საპროცესო შეთანხმებისა და გამოძიების ეკონომიკური ანალიზი“, 29/06/2009, გვ. 6.

⁵ ქართული საპროცესო შეთანხმებისთვის plea bargaining-ის დარქმევა ტექნიკურად სწორი არ არის, თუმცა, ვინაიდან ძირითადი პრინციპი ორივე შემთხვევაში ერთია ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას იძლევა, რათა სასჯელი შემსუბუქოს, ამ ანგარიშის ინგლისურ ვერსიაში ის თარგმნილია, როგორც plea bargaining.



ესწრებოდეს. შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს როგორც ბრალი, ისე სასჯელი. ამ ორ ვარიანტს⁶ შორის ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ მეორე შემთხვევაში ბრალდებული ე. წ. *nolo contendere*⁷-ზე თანხმდება, ხოლო ბრალზე შეთანხმების დროს ის დანაშაულსაც აღიარებს. ეს განსხვავება არცთუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან, იმის მიუხედავად, აღიარებს თუ არა პირი დანაშაულს, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ მას ნასამართლევის სტატუსი ენიჭება⁸.

პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ (ყველა შეთანხმება ზემდგომმა სამხარეო პროკურორმა⁹ უნდა დაადასტუროს) შეთანხმება წერილობით ფორმდება და დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. სასამართლო განიხილავს და ამტკიცებს მას ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.

მოსამართლემ უნდა დაადასტუროს, რომ საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით, დაშინების, მოტყუებისა და ძალადობის გარეშე გაფორმდა და რომ ბრალდებულმა კვალიფიციური იურიდიული დახმარება მიიღო. მოსამართლემ უნდა დაადასტუროს ისიც, რომ ბრალდებული და მისი ადვოკატი საპროცესო შეთანხმების შინაარსს იცნობენ და ისიც იციან, რომ ამ შეთანხმების გაფორმებით სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე უარს ამბობენ. გარდა ამისა, პროკურორმა უნდა წარმოადგინოს *prima facie*, რადგან, საქართველოს კანონმდებლობით, პირის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ საპროცესო შეთანხმებით მიღწეული აღიარებით დაშვებული არ არის; აუცილებელია სხვა მტკიცებულებებიც არსებობდეს.

პრაქტიკა

საპროცესო შეთანხმება საქართველოში მისი შემოღების დღიდან სულ უფრო ხშირად გამოიყენება. თავდაპირველად მას მხოლოდ კორუფციული შემთხვევების დროს მიმართავდნენ, ბოლო პერიოდში კი თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულებისას.

⁶ ბრალსა და სასჯელზე შეთანხმების ქართული განმარტებები ამ ცნებების ზოგადი გაგებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აშშ-ში საპროცესო შეთანხმება ნიშნავს იმას, რომ პროკურორი ბრალდებულს აღიარების შემთხვევაში ბრალს უმსუბუქებს ან საერთოდ უხსნის. სასჯელზე შეთანხმება კი იმ საკითხს ეხება, თუ რა სახის სანქცია იქნება გამოყენებული ბრალდებულის მიმართ, თუ ის დანაშაულს აღიარებს.

⁷ ბრალდებული სასჯელს თანხმდება, მაგრამ დანაშაულს არ აღიარებს.

⁸ 2004 წელს შემოღებული საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი ვერსია განსხვავებული იყო. ის პროკურორს აძლევდა უფლებას, დადგენილი თანხის გადახდის სანაცვლოდ ბრალდებულისთვის ნასამართლევის სტატუსი არ მიენიჭებინა.

⁹ საქართველო მხარეებზე, ხოლო მხარეები რაიონებზე არის დაყოფილი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო შეთანხმებები უნდა დაამტკიცონ როგორც მხარის (მაგალითად, კახეთის), ისე რაიონის (მაგალითად, თელავის) პროკურორებმა. საქართველოში სულ რვა მხარეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ათასობით საპროცესო შეთანხმების დამტკიცება რვა სამხარეო პროკურორს უწევს.



საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა საქართველოში 2005–2009 წლებში ¹⁰			
წელი	დანაშაულის სტატისტიკა	საპროცესო შეთანხმების სტატისტიკა	საპროცესო შეთანხმების პროცენტული მაჩვენებელი დანაშაულთან მიმართებით
2005	7 358	932	12,7%
2006	13 602	3 791	27,9%
2007	17 526	8 432	48,1%
2008	17 639	9 207	52,2%
2009 (იანვარი–აგვისტო)	9 459	5 380	56,9%

საქართველოში გასული წლის იანვარ–აგვისტოს პერიოდში გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების მაჩვენებელი (56,9%) აშშ-ის ასეთივე მაჩვენებელთან (90–95%)¹¹ შედარებით მაღალი არ არის, მაგრამ ეს რიცხვი ცხადყოფს, რომ საპროცესო შეთანხმება საქართველოს სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ის საქართველოში გაცილებით ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე ინკვიზიტორული სისტემის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

როგორც ჩანს, ქართველი მოსამართლეები, პროკურორები და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ სამართლებრივ მექანიზმს დადებითად აფასებენ და, შესაბამისად, საქართველოში, როგორც აშშ-ში, „ჩვეულებრივი“ სასამართლო პროცესი უფრო „ალტერნატიული“¹² პროცედურის სახეს იღებს, ვიდრე ჩვეულისას.

საპროცესო შეთანხმების მიზანშეწონილობა საქართველოში

ისინიც კი, ვინც საპროცესო შეთანხმებას დადებითად აფასებს, აღიარებენ, რომ ის პრაგმატული მიდგომის პროდუქტია (იდეალურ შემთხვევაში, ყველა საქმე სამართლიანი სასამართლოს გზით უნდა წყდებოდეს). აკადემიურ ლიტერატურაში საპროცესო შეთანხმების მხარდასაჭერად რამდენიმე ძირითადი არგუმენტი მოცემულია. მათ ეყრდნობიან მისი ქართველი მხარდამჭერებიც. ესენია: საპროცესო შეთანხმება, როგორც: 1) ანტიკორუფციული ღონისძიება (ყველაზე გავრცელებული არგუმენტი), 2) სასამართლოებში დაგროვილი განსახილველი საქმეების რაოდენობის შემცირების საშუალება, 3) საპატიმროებში ადგილების ნაკლებობის პრობლემის მოგვარების გზა და 4) ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტი.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ მოწოდებული სტატისტიკა.

¹¹ დ. ოლინი, „საპროცესო გარიგება“, *New York Times*, 29/09/2002.

¹² ს. თამანი, „შედარებითი სისხლის სამართლის პროცედურა: a casebook approach“, 2002.



ანტიკორუფციული ღონისძიება

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებულ ქვეყანათა რიცხვში იყო¹³, ბუნებრივია, რომ საპროცესო შეთანხმების შემოღების ერთ-ერთ მყარ არგუმენტად მისი ანტიკორუფციული დატვირთვა გამოიყენებოდა. მართლაც, თავიდან საპროცესო შეთანხმება „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ხელისუფლების მიერ წამოწყებული ანტიკორუფციული კამპანიის ნაწილად განიხილებოდა. ძირითადი იდეა ის იყო, რომ საპროცესო შეთანხმება სამართალდამცავ სისტემას აძლევდა საშუალებას, კორუფციის გზით გაფლანგული ან მიტაცებული თანხა დაებრუნებინა. კორუმპირებული მოხელეები ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებდნენ და სანაცვლოდ თავისუფლებას მოიპოვებდნენ.

ამ კუთხით საპროცესო შეთანხმებამ მართლაც იმუშავა. მისი შემოღებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში წინა ხელისუფლების კორუფციაში ეჭვმიტანილი არაერთი მაღალჩინოსანი და გავლენიანი პირი დააკავეს. მათგან ყველაზე გახმაურებული ექსპრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძის სიძის, გია ჯოხთაბერიძის, 300 000 აშშ დოლარის ოდენობის გადასახადების დამალვისთვის დაკავება იყო. ჯოხთაბერიძემ საპროცესო შეთანხმება გააფორმა და ის 15 მილიონი აშშ დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს¹⁴. იგივე მოხდა რამდენიმე ყოფილი მინისტრისა და საგადასახადო სისტემის თანამდებობის პირის შემთხვევაშიც, თუმცა მათ შედარებით ნაკლები თანხის გადახდა მოუწიათ. მაშინ ამ თანამდებობის პირებს ნასამართლევის სტატუსი არ მინიჭებიათ. პროკურორებმა ზარალის ანაზღაურების შემდეგ საქმეები პირდაპირ შეწყვიტეს¹⁵.

ამგვარი პრაქტიკა, როცა ეჭვმიტანილები ფულის გადახდის სანაცვლოდ თავისუფლებას ისე მოიპოვებდნენ, რომ ნასამართლევის სტატუსი არ ენიჭებოდათ, 2005 წელს გაუქმდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკა იყო¹⁶. ერთ-ერთმა ცნობილმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა მაშინდელ პრაქტიკას „ლეგალიზებული სახელმწიფო რეკეტი“¹⁷ უწოდა. ევროსაბჭოს ანგარიშში კი ეწერა, რომ 2004 წლის საპროცესო შეთანხმების სისტემა, ერთი მხრივ, ზოგიერთ სავარაუდო კანონდამრღვევს აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ უკანონოდ მოპოვებული ფინანსების ნაწილი ციხიდან თავის დასახსნელად გამოეყენებინა და, მეორე

¹³ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ ქვეყანათა რანგირებაში საქართველო კორუფციის გავრცელების დონის მიხედვით 2004 წელს გამოკვლეული 146 ქვეყნიდან 133-ე ადგილზე გავიდა, 2009 წელს კი 180 ქვეყნიდან 66-ე ადგილზე. ამავე კვლევის მიხედვით, 2004 წელს მისი ქულა 2.0 იყო, ხოლო 2009 წელს 4.1. „კორუფციის აღქმის ინდექსში“ საუკეთესო ქულა ათია.

¹⁴ ჯ. რეინელი, „ჰობსონის ექსპერიმენტი: საპროცესო შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკაში“, „აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ჟურნალი“, გამოცემა 11-2/3, 2004.

¹⁵ ეს შესაძლებელი იყო იმდენად, რამდენადაც 2004 წლის კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების შესახებ დღევანდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პროკურორს შეეძლო ბრალი საერთოდ მოეხსნა, თუ ბრალდებული თანხას გადაიხდიდა.

¹⁶ 2005 წელს კანონი შეიცვალა ამ დროიდან ბრალდებულებს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში ნასამართლევის სტატუსი ავტომატურად ენიჭებოდა.

¹⁷ Civil.ge, 20/02/2007.



მხრივ, იძლეოდა საშუალებას ამ სისტემის არასამართლიანად გამოყენებისა, მათ შორის, პოლიტიკური ინტერესებისთვის¹⁸.

ამის მიუხედავად, თუ მორალურ მხარეს გვერდზე გადავდებით, საპროცესო შეთანხმება, მოკლევადიან პერსპექტივაში, გაფლანგული და მიტაცებული თანხების ამოღებისთვის მართლაც შედეგიანი იყო. გარდა ამისა, ის გზავნიდა ცხად სიგნალს, რომ კორუფცია ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო, რამაც დადებითად იმოქმედა საზოგადოების დამოკიდებულებაზე და, სავარაუდოდ, კორუფციის შემცირებაზედაც¹⁹.

ზოგი იმასაც ამბობს, რომ საპროცესო შეთანხმებამ მაშინ კორუფციის სხვა მხრივ შემცირებასაც შეუწყო ხელი, კერძოდ, ეჭვიმტანილს შეეძლო პოლიციისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის ქრთამის მიცემის ნაცვლად ფული კანონიერი გზით ბიუჯეტში გადაერიცხა.

როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა დავით მანაგაძემ განმარტა, „თუ ადრე უფრო მსუბუქი სანქციისთვის ფულს გამოძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს უხდიდი, ახლა ეს ოფიციალურად ხდება და ფული ცალკეული მოხელეების ჯიბეების მაგივრად პირდაპირ ბიუჯეტში მიდის“²⁰. ამ არგუმენტს საფუძვლად უდევს ის, რომ არაოფიციალურად საპროცესო შეთანხმების მსგავსი სისტემა მაინც მუშაობდა და, ამდენად, უმჯობესი იყო, ის კანონის ფარგლებში მოქცეულიყო და უფრო ღია გამხდარიყო, რაც მასზე მონიტორინგის განხორციელების უკეთეს შესაძლებლობასაც შექმნიდა. ეს არგუმენტი სხვა ქვეყნებშიც დიდი ხანია გამოიყენება. 1978 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საპროცესო შეთანხმების სისტემის მხარდაჭერისას აღნიშნა, რომ მისი აკრძალვა „მხოლოდ არაჯანსაღი გარემოს შექმნას გამოიწვევდა, სადაც საპროცესო შეთანხმება ისევე იმ ჩრდილში გადაინაცვლებდა, საიდანაც წარმოიქმნა“²¹.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საპროცესო შეთანხმების ამგვარ ანტიკორუფციულ ეფექტს ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილემ დავით საყვარელიძემ ამ სისტემის მთავარ უპირატესობად არა კორუფციის შემცირება, არამედ მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაზრდა დაასახელა²². ამ მოსაზრებას იზიარებს „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ იურისტი ირაკლი ხორბალაძეც, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვედა დონეზე კორუფციის დამარცხების მიზეზი უფრო პოლიციის რეფორმა²³ და სხვა ანტიკორუფციული ღონისძიებები

¹⁸ PACE-ს რეზოლუცია, 2005.

¹⁹ კორუფციის გავრცელების დონის შეფასების ცვლილება კარგად ჩანს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „კორუფციის აღქმის ინდექსში“.

²⁰ ინტერვიუ ავტორთან.

²¹ ბორდენკირჩენი ჰეისის წინააღმდეგ, 1978.

²² ინტერვიუ ავტორთან.

²³ 2004 წელს განხორციელებული პოლიციის რეფორმა, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ანტიკორუფციულ რეფორმებს შორის ყველაზე პოპულარულია. მთავრობამ საგზაო ინსპექციის ყველა თანამშრომელი გაათავისუფლა და შექმნა სრულიად ახალი საპატრულო პოლიცია, სადაც პოლიციელების ხელფასები გაიზარდა, რათა მათ ქრთამის აღების ინტერესი აღარ ჰქონოდათ. 2004 წლამდე საგზაო ინსპექტორების მიერ ქრთამის აღება ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო.



იყო, ვიდრე საპროცესო შეთანხმების შემოღება. „როგორ შეიძლება იფიქრო, რომ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების პრევენცია მოახდინოს [საპროცესო შეთანხმების შემოღების გარეშე], როცა ხალხს არათუ ფულის, არამედ საჩუქრის აღებისაც ეშინია?“²⁴

მართლაც, ძნელია, მექრთამეობის შემცირებაში საპროცესო შეთანხმების როლი სხვა ანტიკორუფციული რეფორმებისგან დამოუკიდებლად შეაფასო. გარკვეული წვლილი ამ საქმეში მან ალბათ შეიტანა, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც, თუმცა ცხადია, რომ საპროცესო შეთანხმების გაუქმების შემთხვევაში სიტუაცია 180 გრადუსით არ შემობრუნდება, ვინაიდან ქრთამის აღების პრევენციის ბევრი სხვა მექანიზმიც არსებობს (მათ შორის, მკაცრი სანქციები). შესაბამისად, ქრთამთან დაკავშირებული ეს არგუმენტი დღეს მხოლოდ 2005 წლამდე არსებული ვითარების მიმართ არის ადეკვატური.

განსახილველი საქმეების დიდი რაოდენობა

2005 წლის შემდეგ საპროცესო შეთანხმების ფოკუსმა კორუფციული დანაშაულებიდან სხვა სახის „ჩვეულებრივ“ სისხლის სამართლის დანაშაულებზე გადაინაცვლა. შესაბამისად, ამ დროიდან საპროცესო შეთანხმების მთავარი გამართლება „სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემა“²⁵ გახდა. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა მეიშვილმა აღნიშნა, ეს არის „საშუალება, მართლმსაჯულება მოკლე დროში ისე განახორციელო, რომ ხარისხი არ დააგდო“²⁶. ყველაზე ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სწორედ ეს არგუმენტი მოაქვთ საპროცესო შეთანხმების სასარგებლოდ. ერთ-ერთ სტატიაში წერია: „საპროცესო შეთანხმების ძირითადი მიზანი არის ადგილის გათავისუფლება იმ საქმეებისთვის, რომლებიც სასამართლო განხილვას „იმსახურებს“²⁷. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომაც სწორედ ამ პრინციპით დაუჭირა მხარი საპროცესო შეთანხმებას. მისი განმარტებით, „თუ ყველა დამნაშავე სრულ სასამართლო პროცესს გაივლიდა, შტატებისა და ფედერალურ მთავრობებს მოსამართლეებისა და სასამართლო ინფრასტრუქტურის რაოდენობის რამდენჯერმე გაზრდა მოუწევდათ“²⁸.

ვრცელდება თუ არა ეს არგუმენტი საქართველოზე?

ოფიციალური სტატისტიკის ანალიზიდან ჩანს, რომ ეს არგუმენტი საქართველოს შემთხვევაშიც რელევანტურია. 2008 წელს სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა 2005 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა 2005 წელს 7 358, ხოლო 2008 წელს 17 639 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა²⁹.

²⁴ ინტერვიუ ავტორთან.

²⁵ ინტერვიუ საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილესთან, დავით საყვარელიძესთან.

²⁶ ინტერვიუ ავტორთან.

²⁷ ს. სიმსი, „საპროცესო შეთანხმების ისტორიული და რასობრივი რეალიები“, 2008.

²⁸ სანტაბელო ნიუ-იორკის წინააღმდეგ, 1971.

²⁹ პროკურორების შეფასებით, 2004 წელთან შედარებით სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის ასტრონომიული ზრდის მიზეზი ხელისუფლების ანტიკორუფციული კამპანიაა. თუ



რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოში სულ 281 მოსამართლეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ მოსამართლეზე 15 393 კაცი მოდის. ესტონეთში ასეთივე მაჩვენებელი ერთ მოსამართლეზე 6 425 კაცია, ხოლო სლოვენიაში 1 981³⁰. ყველა ეს სისხლის სამართლის საქმე დღეს სასამართლოში რომ წავიდეს და სრული პროცესი გაიაროს (პოტენციურად, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების ჩათვლით), საქართველოს სასამართლო სისტემა შეიძლება „გადაიწვას“. 2004 წელს საპროცესო შეთანხმების შემოღებამდე, იმის მიუხედავად, რომ მაშინ სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა ახლანდელის ნახევარიც არ იყო, დაკავებიდან საბოლოო განაჩენის გამოტანამდე შეიძლებოდა სამი წელი გასულიყო³¹.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გადასაჭრელად, გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველომ აქცენტი მოსამართლეების ტრენინგებზე და მათი რაოდენობის გაზრდაზე უნდა გააკეთოს, მაგრამ დღესდღეობით საპროცესო შეთანხმება ან მისი მისაღები ალტერნატივა ქართული მართლმსაჯულების ეფექტიანობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

გადატვირთული ციხეები

მოკლე- და საშუალოვადიან პერსპექტივაში, საპროცესო შეთანხმების საჭიროება პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარების ამსახველი სტატისტიკითაც დასტურდება. 2007 წლის მონაცემებით, ციხეებში სასჯელს 18 310 ადამიანი იხდიდა, არადა ადგილების რაოდენობა 15 040-ს არ აღემატებოდა³². ამის შედეგად საპატიმროების ნაწილში არსებული პირობები მნიშვნელოვნად დამძიმდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ ციხეებში „არაჰუმანური და სიცოცხლისთვის სახიფათო პირობები, მათ შორის, უხარისხო შენობები, გადატვირთული საკნები და არასათანადო ჯანდაცვა“³³ ხაზგასმით იყო აღნიშნული.

აქაც, ბუნებრივია, პრობლემის გადაჭრა მეტი ციხის აშენებით შეიძლება, მაგრამ საპროცესო შეთანხმების არსებობის პირობებშიც კი საქართველოს უკვე სჭირდება მეტი ციხე. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა დავით მანაგაძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უთხრა: „ახლა თუ 20 000 პატიმარი გვყავს, საპროცესო შეთანხმება რომ არ არსებობდეს, 40 000 გვეყოლებოდა“³⁴.

ადრე ასეთი საქმეები კორუფციული გარიგებებითა და ექვმიტანილის გათავისუფლებით სრულდებოდა, დღეს ამგვარი კორუფცია აღარ არის.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები.

³¹ ავტორის ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ზაზა მეიშვილთან.

³² ლონდონის ქინგზ კოლეჯი, „მსოფლიოს ციხეების ცნობარი საქართველოსთვის“.

³³ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ანგარიში, 2008.

³⁴ ინტერვიუ ავტორთან.



ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს მთავრობამ კანონიერი ქურდების³⁵ (რომლებიც სტალინის დროიდან მოყოლებული აკონტროლებდნენ კრიმინალურ სამყაროს) წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეული წარმატების მიღწევა შეძლო. მაფიის გავლენა 2004 წლის შემდეგ შემცირდა, თუმცა, რა როლი შეასრულა ამაში საპროცესო შეთანხმებამ, რთული სათქმელია.

ზოგადად, აღიარებულია, რომ საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულის შემცირებას. ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც სხვა საქმეებზე საპროცესო შეთანხმებას არ იყენებენ, ორგანიზებული დანაშაულისა და მაფიის შემთხვევებში გამონაკლისს უშვებენ. პრინციპი აქაც მარტივია ბრალდებულს გათავისუფლებას ან სასჯელის შემსუბუქებას სთავაზობ, თუ ის დამნაშავეთა ჯგუფის სხვა წევრებზე ინფორმაციას მოგაწვდის ან უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოძიებაში დაგეხმარება.

იყო თუ არა ასეთი შემთხვევები საქართველოში საპროცესო შეთანხმების ექსპლიანი მოქმედების პერიოდში?

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს, თუმცა შესაძლო რეალობა არცთუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2007 წელს კრიმინალური დაჯგუფების წევრობისთვის პასუხისმგებლობაში მხოლოდ ერთი პირი იქნა მიცემული³⁶. საპროცესო შეთანხმება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აქტიურად რომ ყოფილიყო გამოყენებული, ეს ციფრი გაიზრდებოდა. მეორე მხრივ, იყო შემთხვევები, როცა საპროცესო შეთანხმებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა შესახებ ჩვენებების მიცემის საფუძველზე გაფორმდა. ავთანდილ ხერკილაძეს თბილისის გაზის დისტრიბუციის კომპანიის ხელმძღვანელის მკვლელობისთვის მხოლოდ რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა იმის გამო, რომ მან მკვლელობაში მონაწილე ორი სხვა პირი დაასახელა და საკუთარი ბრალიც აღიარა. ამ ორ პირს უვადო პატიმრობა მიესაჯა³⁷.

ფაქტია, რომ საპროცესო შეთანხმებას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში იმხელა წვლილი არ შეუტანია, რომ ეს ფაქტორი მისი შემოდებისა თუ შენარჩუნების არგუმენტად იქნეს გამოყენებული. საპროცესო შეთანხმება შეიძლება მართლაც იყოს ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგო ძლიერი იარაღი, მაგრამ, ვინაიდან საქართველოში მოწმეთა დაცვის სრულყოფილი სისტემა არ არსებობს, ამ პოტენციის გამოყენება ვერ ხერხდება.

³⁵ ქართული მაფიის ბოსები.

³⁶ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

³⁷ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ანგარიში სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ, 2006.



როგორ აფინანსებს დანაშაული სახელმწიფოს: საპროცესო შეთანხმება, როგორც შემოსავლის წყარო

ხელისუფლება საპროცესო შეთანხმების დადებით მხარეებზე საუბრისას, როგორც წესი, ზემოთ მოყვანილ არგუმენტებს ეყრდნობა, თუმცა სხვები ნაკლებად კეთილშობილურ მოტივაციაზედაც მიუთითებენ. არასამთავრობო ორგანიზაციის „კანონი ხალხისათვის“ წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა მას „არა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, არამედ ფულის კეთების ინსტიტუტი“ უწოდა³⁸. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტის, ნათია კაციტაძის თქმით, „საპროცესო შეთანხმებების დიდი უმრავლესობა ფულადი ჯარიმის გადახდას შეეხება“³⁹. მართლაც, ყველა იურისტმა, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ესაუბრა, ქართული საპროცესო შეთანხმების უმთავრეს ნაკლად „თავისუფლების სანაცვლოდ ფულის გადახდის“ პრაქტიკა დაასახელა. არასამთავრობო ორგანიზაცია „42-ე მუხლის“ იურისტმა დიტო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ „რამდენს გადაიხდი“, როგორც წესი, პირველი კითხვაა, რომელიც საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების დროს ისმება⁴⁰.

მთავრობა უარყოფს, რომ დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნა საპროცესო შეთანხმების მიზანია. როცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს, დავით საყვარელიძეს ამის კომენტირება სთხოვა, მან თქვა: „საპროცესო შეთანხმება ბიუჯეტის შევსების საშუალება არ არის... ხაზინა ისეთი ადმინისტრაციული ჯარიმებიდან, როგორც ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის ჯარიმაა, უფრო მეტ შემოსავალს იღებს... საპროცესო შეთანხმებიდან შემოსული ფული არ არის საკმარისი, რომ მას სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს“⁴¹.

ფაქტი კი მაინც ის არის, რომ საპროცესო შეთანხმებების გზით სახელმწიფომ მართლაც დიდი რაოდენობის თანხა მიიღო. 2009 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში საპროცესო შეთანხმებებიდან ხაზინაში 32 760 994 ლარი შევიდა⁴². საპროცესო შეთანხმებების გაფორმება წლის ბოლომდე იმავე ტემპით რომ გაგრძელებულიყო, წლის ბოლოსთვის ხაზინა კიდევ 50 მილიონ ლარს მიიღებდა⁴³. ჯამში ეს თანხა საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 1% და ცხრა სამინისტროს და პარლამენტის ბიუჯეტებზე მეტი იქნებოდა⁴⁴.

³⁸ ინტერვიუ ავტორთან.

³⁹ ინტერვიუ ავტორთან.

⁴⁰ ინტერვიუ ავტორთან.

⁴¹ ინტერვიუ ავტორთან.

⁴² საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები. 2009 წლამდე პერიოდის სტატისტიკა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ვერ მოიპოვა. პროკურატურის განცხადებით, მას წინა წლების სტატისტიკა არა აქვს.

⁴³ ამ ეტაპზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მხოლოდ 2009 წლის პირველი რვა თვის მონაცემები აქვს.

⁴⁴ საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი 5 188 177 ლარია.



თავისუფლება მდიდრებისთვის, ციხე ღარიბებისთვის

საპროცესო შეთანხმებას, როგორც „თავისუფლების ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდვის“ საშუალებას, რაც, როგორც ჩანს, ქართული მართლმსაჯულების სისტემაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა, ბევრი ოპონენტი ჰყავს. თუ 2004–2005 წლებში ამ სისტემით უფრო ხშირად კორუმპირებული თანამდებობის პირები და ოლიგარქები სარგებლობდნენ, შემდეგ მიდგომა უფრო „დემოკრატიული“ გახდა და ის ყველაზე გავრცელდა – ხულიგნობაში ეჭვიტანილით დაწყებული, მკვლელობაში ეჭვიტანილით დამთავრებული. იურისტების თქმით, იყო ისეთი შემთხვევები, როცა პროკურორები მცირე დანაშაულებზე 100 000-მდე ლარის გადახდას ითხოვდნენ. ხშირად, მაშინაც კი, როცა მოთხოვნილი თანხა გაცილებით ნაკლებია, ბევრს მისი გადახდის შესაძლებლობა არა აქვს. ამის შედეგად ვიღებთ ვითარებას, რომელსაც საპროცესო შეთანხმების კრიტიკოსები ახასიათებენ, როგორც „მართლმსაჯულებას მდიდრებისთვის“⁴⁵.

„საპროცესო შეთანხმებამ სისხლის სამართლის კოდექსი გააუფასურა“, – აღნიშნა „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ იურისტმა ირაკლი ხორბალაძემ. მისი აზრით, „ის დანაშაულის პრევენციის საშუალება აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი თანხის გადახდით ნებისმიერი დანაშაულის გამოსყიდვა შეგიძლია“⁴⁶. „42-ე მუხლის“ იურისტის, დიტო ხაჩიძის თქმით კი, „თუ მდიდარი ხარ, საქართველოში კანონზე მაღლა დგახარ“⁴⁷.

ამ შეხედულების დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი მართლაც არსებობს. ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მაგალითი იმ თურქი კაპიტნის შემთხვევაა, რომელიც აფხაზეთის და, შესაბამისად, საქართველოს საზღვაო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დააკავეს. მას 24 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, თუმცა საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, რის საფუძველზედაც გემი ჩამოართვეს და 30 000 ლარიც გადაახდევინეს, მალე გამოუშვეს⁴⁸. ამის საპირისპიროდ, საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს, რომელმაც საპროცესო შეთანხმებაზე უარი თქვა, სახელმწიფო თანხების გაფლანგვისთვის ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს⁴⁹. იურისტების თქმით, იმის არაერთი მაგალითიც არსებობს, თუ როგორ მიუსაჯეს მსჯავრდებულებს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით ფლობისთვის.

რაც არ უნდა იყოს ამის მიზეზი – ხელისუფლების წინასწარ გამიზნული პოლიტიკა (როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ) თუ ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილი დარღვევები – აშკარაა, რომ საპროცესო შეთანხმებებში ფულის გადახდის წილმა და ზედმეტად ლიბერალურმა კანონმდებლობამ, რომელიც პროკურორებს უფლებას აძლევს, საპროცესო შეთანხმება

⁴⁵ „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი დავით უსუფაშვილი, Civil.ge, 20/02/2007.

⁴⁶ ინტერვიუ ავტორთან.

⁴⁷ ინტერვიუ ავტორთან.

⁴⁸ თურქულმა დიპლომატიამ, კერძოდ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტმა ამაზე გავლენა აშკარად მოახდინა.

⁴⁹ გასაჩივრების შემდეგ ეს ციფრი რვაჯერ შემცირდა.



მკვლევარებში ბრალდებულების მიმართაც კი გამოიყენონ, ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების ნდობა შეამცირა. საპროცესო შეთანხმება უფრო შეზღუდული სახით რომ მოქმედებდეს და მას საფუძვლად არა ფულის გადახდა, არამედ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა ექნება, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ამ სისტემას მთავრობისთვის შემოსავლის წყაროდ აღიქვამენ, შემცირდებოდა.

გარკვეული ნიშნები იმისა, რომ ფინანსური გამოსასყიდის კომპონენტი შემცირდება, არსებობს. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ იგეგმება ეკლესიასთან თანამშრომლობით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესაძლებლობის შექმნა, რაც, სავარაუდოდ, საპროცესო შეთანხმებაში ნაღდი ანგარიშსწორების ჩანაცვლების პოტენციალსაც გაზრდის.

გამჭვირვალობა

კითხვები საპროცესო შეთანხმების გამჭვირვალობასთან დაკავშირებითაც არსებობს. ამ კუთხით უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ ძნელად მოსაპოვებელია ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის თანხას იხდიან ბრალდებულები საპროცესო შეთანხმებების გაფორმებისას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ 2006 წელს მიმართა ღია წერილით⁵⁰, რომელშიც ერთ-ერთი რეკომენდაცია საპროცესო შეთანხმებების სრული სიის საჯაროობას ეხებოდა, თუმცა ასეთი სია ამ ანგარიშის მომზადების პერიოდშიც კი არ ყოფილა ხელმისაწვდომი.

ამ სიასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ბოლო მოთხოვნაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წერილობით ასეთი პასუხი გასცა: ამ ინფორმაციის გაცემა დაუშვებელია, რადგან ამით დაირღვევა „პასუხისგებაში მიცემული პირების უფლება, რომ მათთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათი თანხმობის გარეშე, საჯარო არ უნდა გახდეს“⁵¹.

მართლაც, ამგვარი ინფორმაციის დახურვა მოწმეთა დაცვის მიზნით სწორი გადაწყვეტილებაა, თუ საპროცესო შეთანხმება იმის გამო გაფორმდა, რომ პირმა გამოიძიებას დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფზე ინფორმაცია მიაწოდა, თუმცა, როგორც ქართული რეალობის ანალიზიდან ჩანს, ასეთი შემთხვევები უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. ამდენად, გაუგებარია, თუ რატომ უნდა ამბობდეს საქართველოს მთავარი პროკურატურა საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უარს. სხვა თუ არაფერი, საპროცესო შეთანხმებები სასამართლო პროცესებზე მტკიცდება, ამ პროცესებზე დასწრება კი თავისუფალია.

⁵⁰ „პროკურატურამ უნდა გამოაქვეყნოს სრული ინფორმაცია საპროცესო შეთანხმებების შესახებ, კერძოდ, რა თანხა შევიდა საპროცესო შეთანხმებებიდან, ვინ რამდენი გადაიხდა და რის სანაცვლოდ. თუ მთავრობა გააგრძელებს ამ მექანიზმის გამოყენებას, მან უნდა უზრუნველყოს რეგულარული ანგარიშგება ამ საკითხზე.“, 17 ნაბიჯი უფრო გამჭვირვალე საქართველოსკენ (<http://www.transparency.ge>).

⁵¹ ავტორისთვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოგზავნილი პასუხი.



გამჭვირვალობასთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, თუ სად მიდის საპროცესო შეთანხმებებიდან შემოსული ფული. ამ სისტემის შემოღების შემდეგ პირველ წლებში ეს საკითხი ბუნდოვანებით იყო მოცული, რადგან ფული გაურკვეველი დანიშნულების არასაბიუჯეტო ფონდებში ირიცხებოდა⁵². მომდევნო პერიოდში სიტუაცია გამოსწორდა და საპროცესო შეთანხმების თანხა ჯერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ანგარიშებზე და იქიდან ხაზინაში ირიცხებოდა⁵³, ხოლო 2009 წლიდან პირდაპირ ხაზინაში⁵⁴.

პრობლემად რჩება ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში საპროცესო შეთანხმებებზე ცალკე პუნქტი არ არის და, შესაბამისად, არ ჩანს, თუ რა თანხა შედის ყოველწლიურად ბიუჯეტში ამ მექანიზმის გამოყენებით. ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ფიქრობს, რომ ეს ფული „არასაგადასახადო შემოსავლების“ ნაწილშია აღრიცხული. რაც შეეხება კონკრეტულ ინფორმაციას, თუ ჯამში რა თანხა გროვდება საპროცესო შეთანხმებებიდან ყოველწლიურად, ეს დეპუტატისთვის უცნობია⁵⁵.

საფრთხე სასამართლო სისტემის რელევანტურობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებისთვის?

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრს მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმება სამართლიანი სასამართლოს უფლებას ზღუდავს და სასამართლო სისტემას ასუსტებს. საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობაში ეჭვი ბევრს ეპარება⁵⁶ და პროკურორებისა და მოსამართლეებისადმი ნდობის ხარისხი დაბალია, ის ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი არ არის.

ძლევა მოსილი პროკურორი

საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი უკუჩვენება, მისი კრიტიკოსების აზრით, მოსამართლეებისა და ადვოკატების დასუსტების ხარჯზე პროკურორების გაძლიერებაა. როგორც ერთმა ამერიკელმა პროკურორმა 1978 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნა, საპროცესო შეთანხმება არის „ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც პროკურორს აქვს. საჭესთან პროკურორი

⁵² არმიის განვითარების ფონდი და სამართალდამცავი სტრუქტურების განვითარების ფონდი (იხ. ზაალ ანჯაფარიძე, „კითხვები საქართველოს მთავრობას საიდუმლო ფონდების შესახებ“, *Jamestown Foundation Eurasia Daily Monitor*, 3/7/2006).

⁵³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ (2006), „სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგი: ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები“.

⁵⁴ ინტერვიუ საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილესთან, დავით საყვარელიძესთან.

⁵⁵ ინტერვიუ ავტორთან.

⁵⁶ მაგალითად, Freedom House-ის *Nations in Transit*-ის 2009 წლის ანგარიშში წერია, რომ საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობა „ხშირად ირღვევა“, რის გამოც საქართველოს მხოლოდ 4.75 ქულა მიენიჭა. ეს ქულა საკმაოდ დაბალია, მაგრამ არა ევროკავშირის არაწევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.



ზის⁵⁷. ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ თუ ჩვეულებრივ სისტემაში დაცვამ მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯულები მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაში უნდა დაარწმუნოს (ანუ ამ შემთხვევაში არბიტრის როლს მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯულები ასრულებენ), საპროცესო შეთანხმების დროს არბიტრი პროკურორია. გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს და დაცვის მხარემაც მოლაპარაკება მასთან უნდა აწარმოოს.

ამ აზრს იზიარებენ საპროცესო შეთანხმების ქართველი კრიტიკოსებიც. ოპოზიციონერი დეპუტატის, გია ცაგარეიშვილის აზრით, საპროცესო შეთანხმებაში „მოსამართლეს მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია აქვს... მოსამართლეები და ადვოკატები კი პროკურატურის დამატებებად იქცნენ“⁵⁸. 2008 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პროკურატურას „ქვეყნის რეალური მმართველი“⁵⁹ უწოდა. როგორც სტატისტიკა ცხადყოფს, საპროცესო შეთანხმებას მოსამართლეები თითქმის ყოველთვის ამტკიცებენ.

კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით გაფორმდა. ის ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდებულის ძირითადი უფლებები (მაგალითად, ადვოკატის ყოლის უფლება) არ დარღვეულა. პრაქტიკაში 2008 წელს 8 770 საპროცესო შეთანხმებიდან მოსამართლეებმა მხოლოდ რვის დამტკიცებაზე თქვეს უარი, რაც საერთო რაოდენობის 0,1%-ია⁶⁰.

მოსამართლეებმა ისიც უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად სარწმუნოა პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, ანუ რამდენად მისაღები იქნებოდა ისინი, სრული სასამართლო პროცესი რომ გამართულიყო. ამ შემთხვევაში დაცვის მხარეს მტკიცებულებების უარყოფის შესაძლებლობა არ ეძლევა.

იურისტებმა, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ ანგარიშის მომზადებისას ესაუბრა, აღნიშნეს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, მოსამართლეები მტკიცებულებებს რეალურად ამოწმებდნენ⁶¹. მაგალითად, ნაცვლიშვილისა და ტოგონიძის საქმეში პროკურორი ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც მან სახელმწიფოს სასარგებლოდ მანქანათმშენებელი ქარხნის წილები დათმო და დამატებით „საკუთარი სურვილით“ 50 000 ლარი გადაიხადა. სასამართლომ საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, ოღონდ მასში მხოლოდ 35 000 ლარზე იყო საუბარი, მანამდე გადახდილი „საჩუქრები“ კი მითითებული არ ყოფილა⁶².

მეორე, კიდევ უფრო მძიმე შემთხვევა ალექსეი ბახუტოვის საქმეა. მას ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობა ძალდატანებით აღიარებინეს. საპროცესო

⁵⁷ „Is Plea Bargaining a Cop Out?“, *Time Magazine*, 1978.

⁵⁸ ინტერვიუ ავტორთან.

⁵⁹ Freedom House, *Nations in Transit*, 2009.

⁶⁰ პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

⁶¹ ავტორის ინტერვიუ ნათია კაციტაძესთან.

⁶² ნ. კაციტაძე, „საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა საქართველოში: სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევა?“, *European Human Rights Advocacy Centre Bulletin 10* (ზამთარი, 2008 წ.).



შეთანხმების გაფორმების მიზნით მან დანაშაულის ორი თანამონაწილეც დაასახელა. ბახუტოვს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ „მოკლული“ ცოცხალი იყო. ამის მიუხედავად, ბახუტოვი ციხიდან არ გაუთავისუფლებიათ. მას ამჯერად მკვლელობის მცდელობაში დასდეს ბრალი და ერთი წლის შემდეგ გამოუშვეს^{63,64}.

ასეთი შემთხვევები, გამონაკლისების სახით, შეიძლება ჩვეულებრივ-ნორმალურად ფუნქციონირებად სისტემაშიც იყოს, მაგრამ ქართულ საპროცესო შეთანხმებაში სხვა, ძირეული პრობლემებიც არსებობს. პირველ რიგში, საპროცესო შეთანხმების შემოღების შემდეგ მოსამართლეებს სასჯელის განსაზღვრისას მანამდე არსებული დისკრეციის უფლება შეეზღუდათ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასჯელების მინიმალურ და მაქსიმალურ ზომებს ადგენს. 2005 წლამდე მოსამართლეებს ჰქონდათ უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევებში დადგენილ მინიმუმზე ნაკლები სასჯელი გამოეყენებინათ. დღევანდელი კანონმდებლობით მათ ამის უფლება აღარ აქვთ, თუ მოცემული დანაშაულისთვის სასჯელის მაქსიმალური ზომა ხუთ წელს აღემატება. ერთადერთი გზა იმისა, რომ მსჯავრდებულმა კანონით დაწესებულ მინიმუმზე ნაკლები სასჯელი მიიღოს, არის საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ეს კი პროკურორის პრეროგატივაა.

2007 წელს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სახელმძღვანელო პრინციპებიც დამტკიცდა, რითაც მოსამართლეების დისკრეციის უფლება კიდევ უფრო შეიზღუდა⁶⁵. ზოგადად, ამგვარი დოკუმენტის არსებობა, თუ ის სარეკომენდაციო ხასიათისაა, შეიძლება საზიანო არ იყოს, პირიქით, შესაძლოა მან გადაწყვეტილებების თანამიმდევრულობას შეუწყოს ხელი, მაგრამ ქართულ რეალობაში მოსამართლეები მის დებულებებს სწორხაზოვნად მიჰყვებიან და არასოდეს უხვევენ⁶⁶.

მოსამართლეების მიმართ გაზრდილი რეგულირება მკვეთრად განსხვავდება იმ მინიმალური რეგულირებისგან, რომელიც საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას პროკურორების მიმართ მოქმედებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ გამოკითხული იურისტების თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა მსუბუქ დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას პროკურორებს 100 000-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუთხოვიათ, უფრო მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი გაცილებით ნაკლების⁶⁷. არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ, როგორც მინიმუმი, საჭიროა მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის რეგულირების მხრივ მეტი ბალანსი იყოს.

მაგრამ პრობლემები მხოლოდ ამ კუთხით არ არსებობს. საპროცესო შეთანხმების კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ დანაშაულის ჩამდენის

⁶³ გახეთი „24 საათი“ (13/10/08), „საპროცესო შეთანხმების ქართული წესები“.

⁶⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=4925&lang=ge>.

⁶⁵ სახელმძღვანელო პრინციპებში აქცენტი მკაცრ სასჯელებზეა გაკეთებული.

⁶⁶ ს. ალკონი, „საპროცესო შეთანხმება, როგორც ღვებღაღადი ტრანსპლანტი: კარგი იდეა პრობლემური სისხლის სამართლის სისტემებისთვის“, http://works.bepress.com/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=cynthia_alkon.

⁶⁷ ინტერვიუ ავტორთან.



მსხვერპლს საპროცესო შეთანხმებაში არავითარი უფლება არა აქვს, გარდა იმისა, რომ საპროცესო შეთანხმებაზე ინფორმაცია პოსტფაქტუმ მიიღოს. სრულიად შესაძლებელია, პროკურორმა მეკვლეობაში ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება ისე გააფორმოს, რომ ამაზე მოკლულის ახლობლებს არცკი შეუთანხმდეს. პროკურორები ამბობენ, რომ რეალობაში ამგვარი შემთხვევები არ არის და რომ ისინი, როგორც წესი, შეთანხმების გაფორმებამდე მოკლულის ახლობლების პოზიციასაც არკვებენ⁶⁸. ეს მართლაც ასე რომ იყოს, აუცილებელია ამგვარი საკითხები კანონმდებლობით რეგულირდებოდეს და მხოლოდ პროკურორების კეთილ ნებაზე არ იყოს დამოკიდებული.

ბოლოს, იურისტები იმასაც აკრიტიკებენ, რომ საპროცესო შეთანხმებით მათი როლი ძალიან შეიზღუდა. „ახლა კარგი ადვოკატი ის არის, ვინც სწორ კაბინეტში მიდის, სწორ ხალხს ელაპარაკება და იმაზე ზრუნავს, რომ სარფიან საპროცესო შეთანხმებას მიაღწიოს“, თქვა იურისტმა ნათია კაციტაძემ⁶⁹.

ყოველსმცოდნე პროკურორი?

თუ საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში დაგდეს ბრალი, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ დამნაშავედ გცნობენ. 2008 წელს 17 639 სისხლის სამართლის საქმიდან ბრალდებულის გამართლებით მხოლოდ შვიდი დასრულდა; 111 საქმე განაჩენის გამოტანამდე შეწყდა. ამ სტატისტიკის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი განხილული საქმეების 99%-ში დადგა. ასეთი მაჩვენებლის მიზეზი, ოპონენტების აზრით, სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხია.

პროკურორებს კი მიაჩნიათ, რომ ეს რიცხვები „აქტიური მუშაობის“, „ყურადღებიანი გამოძიების“ და სისტემის გამართული მუშაობის შედეგია⁷⁰. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ზაზა მეიშვილის თქმით, „ამ სტატისტიკაში გასაკვირი არაფერია... აშშ-ში საპროცესო შეთანხმებით და, მაშასადამე, დამნაშავედ ცნობით სისხლის სამართლის საქმეების 90–95% სრულდება“⁷¹.

თუმცა საქართველოს და აშშ-ს შორის განსხვავება ის არის, რომ საქართველოში გამამტყუნებელი განაჩენი არა მხოლოდ საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში, არამედ სასამართლოში განხილული საქმეების უმეტესობაშიც დგება. სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. ასე, მაგალითად, საქართველოსაზე მაღალი მაჩვენებელი „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის“ (OECD) ქვეყნებიდან მხოლოდ იაპონიას აქვს (99,7%). სწორედ ასეთი მაჩვენებლის გამო გადაწყვიტა იაპონიამ ნაფიც

⁶⁸ ინტერვიუ ავტორთან.

⁶⁹ ინტერვიუ ავტორთან.

⁷⁰ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წელს მან ძიება 1415 საქმეზე შეწყვიტა.

⁷¹ ინტერვიუ ავტორთან.



მსაჯულთა ინსტიტუტის აღდგენა, ვინაიდან ცნობილია, რომ ნაფიც მსაჯულებს გამამტყუნებელი განაჩენი უფრო იშვიათად გამოაქვთ⁷².

ქართველი იურისტები საქართველოში გამამტყუნებელი განაჩენის სიხშირეს საპროცესო შეთანხმებას აბრალებენ. ზოგიერთი მათგანის აზრით, მის შემოღებამდე გამამართლებელი განაჩენის მიღწევა „გაცილებით ადვილი იყო“.

რამდენად სამართლიანია ამ კუთხით საპროცესო შეთანხმების დადნაშაულება? თუ სტატისტიკას დავეყრდნობით, გამამტყუნებელი განაჩენის სიხშირის მთავარი მიზეზი საპროცესო შეთანხმება არ არის.

გამამართლებელი განაჩენების გამოტანის სტატისტიკა საქართველოში 2003–2009 წლებში ⁷³					
წელი	სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა	გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა	გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი	შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა	შეწყვეტილი საქმეების პროცენტული მაჩვენებელი
2003	7017	43	0,6%	204	2,9%
2004	7601	28	0,4%	213	2,8%
2005	7358	52	0,7%	350	4,8%
2006	13602	23	0,2%	169	1,2%
2007	17526	9	0,1%	252	1,4%
2008	17639	21	0,1%	213	1,2%
2009 (იანვარი–აგვისტო)	9459	7	0,1%	111	1,2%

2004 წელს საპროცესო შეთანხმების შემოღების შემდეგ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა მართლაც შემცირდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მანამდეც იმდენად დაბალი იყო, რომ სხვაობა დიდი არ არის. 2003 წელს გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი 97% იყო, ხოლო 2009 წელს 99%. რეალურად, 2005 წელს, როცა საპროცესო შეთანხმების გამოყენება კორუფციული შემთხვევების გარდა სისხლის სამართლის სხვა საქმეებზედაც გავრცელდა, გამამართლებელი განაჩენებისა და შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი კი 94%-მდე შემცირდა, რაც საქართველოსთვის რეკორდული რიცხვებია.

ამდენად, გამამტყუნებელი განაჩენის სიხშირის მიზეზი, სავარაუდოდ, არა იმდენად საპროცესო შეთანხმების შემოღებაა, რამდენადაც საქართველოზე საბჭოთა სამართლებრივი სისტემის გავლენა, იმ სისტემისა, სადაც აღიარება „მეფედ“ იყო მიჩნეული. როგორც ერთმა აკადემიკოსმა აღწერა, „საბჭოთა სისხლის სამართლის სისტემაში ყველაზე გავლენიანი პირი პროკურორი იყო და დღემდე არის. სწორედ ის იყო პასუხისმგებელი მთელი სისხლის სამართლის პროცესის წარმართვაზე და ბევრი ფიქრის გარეშე მიმართავდა ისეთ ხერხებს,

⁷² BBC News, „იაპონია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს აღადგენს“, 03/08/09.

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები.



როგორებიცაა ძალდატანებით აღიარება, მტკიცებულებების გაყალბება და წინასწარი პატიმრობის აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით გამოყენება⁷⁴.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა მეიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ დანაშაულის აღიარება საქართველოში მართლაც გავრცელებული პრაქტიკაა და რომ საპროცესო შეთანხმებების „დიდი უმრავლესობა“ სწორედ მის საფუძველზე ფორმდება⁷⁵.

შეთანხმება ერთადერთი არჩევანი

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება გამამტყუნებელი განაჩენების მაღალი მაჩვენებლის მთავარი მიზეზი არ არის, ამგვარი განაჩენის (ე. ი. მისი აღბათობის) სისშირე სამართალწარმოების პროცესზე უარყოფითად მოქმედებს. საპროცესო შეთანხმების მთავარი არსი ის არის, რომ ბრალდებულს ბრალდების მხარესთან უფრო მსუბუქ სასჯელზე „ვაჭრობის“ საშუალება მისცეს, ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ბრალდებულს მოლაპარაკებაში ჩართვისთვის საკმარისი ბერკეტები აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროკურორი უნდა ფიქრობდეს, რომ თუ ბრალდებულის მიერ შეთავაზებულ პირობებს არ დაეთანხმება, შესაძლოა ხანგრძლივი და რთული იურიდიული პროცედურების გავლა მოუწიოს, თან, სავარაუდოდ, რამდენიმე დონეზე. როცა გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, დაცვის მხარის ბერკეტები მცირდება. ამ შემთხვევაში პირობებს პროკურორი ადგენს და ბრალდებული მათ უბრალოდ იღებს ან არ იღებს.

ამდენად, იმ სისტემებში, სადაც გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, საპროცესო შეთანხმება კარგად ვერ მუშაობს. ასეთ დროს უდანაშაულო ბრალდებულს კი გრძნობს გარკვეულ ზეწოლას, რომ „ბრალი აღიაროს“, რადგან იმის სტატისტიკური აღბათობა, რომ სასამართლო გაამართლებს მას, უკიდურესად მცირეა. შესაბამისად, თუ საქართველოში გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანის სტატისტიკა არ შეიცვალა, საპროცესო შეთანხმების ეფექტიანი ფუნქციონირება გართულდება.

დასკვნები და რეკომენდაციები

საპროცესო შეთანხმების სისტემა საქართველოში არც ისეთი წარმატებულია, როგორც ამას ხელისუფლება წარმოადგენს, და არც ისეთი გამოუსწორებელი, როგორც ოპონენტები ახასიათებენ. ფაქტი ერთია საპროცესო შეთანხმება მნიშვნელოვანი ცვლილებაა, მაგრამ ის სასამართლოების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხისა და სამართალწარმოების არსებული კულტურის პირობებში სამართლიანობის განმტკიცებას ხელს ვერ უწყობს.

⁷⁴ ჯ. რეიხელი, „პოპსონის ექსპერიმენტი: საპროცესო შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკაში“, „აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ჟურნალი“, გამოცემა 11-2/3, 2004.

⁷⁵ ინტერვიუ ავტორთან.



საქართველო გარკვეული დილემის წინაშე დგას. ერთი მხრივ, მისი ციხეები გადატვირთულია და მოსამართლეების რაოდენობა შეზღუდული, მეორე მხრივ კი, სასამართლო სისტემა იმდენად განვითარებული არ არის, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა სრულყოფილად იმუშაოს. აქ საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი „დამნაშავეობის პრეზუმფცია“ ჯერ კიდევ სჯობნის უდანაშაულობის პრეზუმფციას, რასაც გამამტყუნებელი განაჩენების ასტრონომიული რაოდენობა და აღიარებითი ჩვენებების სისშირეც ადასტურებს. ასეთ ვითარებაში საპროცესო შეთანხმება სირთულეებს აწყდება. თუმცა ისიც აშკარაა, რომ საპროცესო შეთანხმების შემოღებით სიტუაცია თუ არ გამოსწორდა, ის არც მკვეთრად გაუარესებულა. სამართლიანი სასამართლო დღეს თუ არ არსებობს, ის არც საპროცესო შეთანხმების ამოქმედებამდე არსებობდა.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ამოქმედება, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც, ციხეებში პატიმრების და სასამართლოებში განსახილველი საქმეების რაოდენობის შემცირების მიზნით გამართლებული იყო. მაგრამ მისი შემოღებიდან ხუთი წლის შემდეგ დროა, ხელისუფლებამ უფრო რთული გადაწყვეტილებები მიიღოს და დღევანდელი სისტემა იმგვარად გარდაქმნას, რომ საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმება არა იძულებითი გადაწყვეტილება, არამედ არჩევანის საგანი იყოს.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2005 წელს დადო პირობა, რომ საქართველოს, „ფრანგულ და ამერიკულ კინოებში რომ გვინახავს“⁷⁶, ისეთი პოლიციელები და პროკურორები ეყობოდა. საპროცესო შეთანხმებამ ჯანსაღ გარემოში რომ იმუშაოს, ეს სიტყვები რეალობად უნდა იქცეს.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს საპროცესო შეთანხმების ეფექტიანობის გაზრდას:

1. დამნაშავეობის პრეზუმფციის კულტურის შეცვლა

დღეს არსებული სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხისადმი საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. ამის შედეგად ბრალდებულებს მიაჩნიათ, რომ არჩევანი არა აქვთ უმჯობესია საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმდნენ, ვინაიდან, უდანაშაულობის რომ იყვნენ, სავარაუდოდ, მაინც ციხეში ჩაჯდომა მოუწევთ. ამ განწყობის შეცვლა საკმაოდ რთულია, თუმცა შეუძლებელი არ არის.

დღეს აქტიურად მსჯელობენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაზე. ავტორიტარულ პოსტსაბჭოთა სისტემებშიც კი, როგორც, მაგალითად, რუსეთში, ამ ინსტიტუტის ამოქმედებამ გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა შეამცირა და იმის შანსი, რომ უფრო სამართლიანი გადაწყვეტილებები გამოტანილიყო, გაზარდა⁷⁷. რა თქმა უნდა, ხარვეზები⁷⁸ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტსაც აქვს,

⁷⁶ ოფიციალური პრესრელიზი, www.president.gov.ge, 14/04/2009.

⁷⁷ იმდენად გაზარდა, რომ რუსეთი დღეს ამ სისტემის გაუქმებასაც კი გეგმავს. იხილეთ *New York Times*, „სამართალი რუსეთში სწრაფი და დაცული აღარ არის“, 23/02/2003.



მაგრამ სწორად დაგეგმვის შემთხვევაში ამ სისტემას შეუძლია სასამართლოსადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე დადებითი გავლენა მოახდინოს.

სასამართლოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, ბუნებრივია, სხვა ზომების მიღებაც შეიძლება. ცნობილია, რომ ხელისუფლების კიდევ ერთი ინიციატივა მოსამართლეების უვადოდ დანიშვნაა. ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად ექნება დადებითი შედეგები, თუმცა ამას გარკვეული დრო დასჭირდება.

მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმის აღიარება იქნებოდა, რომ გამამტყუნებელი განაჩენების 99%-იანი მაჩვენებელი სამართლიანი სისტემისთვის დამახასიათებელი არ არის და რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად ქმედითი ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. მანამდე კი მთავრობა და მისი მომხრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, რაც არცთუ ისე იშვიათია, უნდა მოერიდონ. დღეს გარკვეულ პირებს საჯაროდ დამნაშავედ მანამდე აღიარებენ, სანამ სასამართლო მათ მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდეს⁷⁸. ასეთი პრაქტიკა უნდა შეწყდეს.

2. სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა

საპროცესო შეთანხმება შედარებით „უცხო ხილია“ და ეჭვებს განვითარებულ იურიდიულ სისტემებშიც აღძრავს. შესაბამისად, საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობის ხარისხი ისედაც დაბალია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ კითხვებს პირდაპირი და ამომწურავი პასუხები გაეცეს. ხელისუფლებამ უნდა საჯარო უნდა გახადოს ინფორმაცია, თუ რა საქმეებზე ფორმდება საპროცესო შეთანხმებები, და ინტერნეტში გამოაქვეყნოს იმ პირთა სია, რომლებიც საპროცესო შეთანხმებებს აფორმებენ. გამონაკლისები შეიძლება დაიშვას იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომლებიც გამოძიებას უფრო მძიმე დანაშაულზე ან დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფზე ინფორმაციას მიაწვდიან. რაც შეეხება საქმეებს, რომლებიც ფულის გადახდით სრულდება, მათთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულიად გამჭვირვალე უნდა იყოს.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იყოს ცალკე პუნქტი საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე მიღებული შემოსავლებისთვის, რაც, გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებებზე დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებასთან ერთად, იმის დადგენას შეუწყობს ხელს, თუ რამდენად

⁷⁸ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე უფრო ვრცელი მსჯელობა იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიშში ამ საკითხზე, http://www.transparency.ge/files/215_273_886537_Trial%20by%20Jury.pdf.

⁷⁹ მაგალითად, 2007 წლის 7 ნოემბერს საპროცესო აქციის დარბევის შემდეგ მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელმა და ნაციონალურმა არხებმა სატელეფონო ჩანაწერების საფუძველზე ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი პირდაპირ დაადანაშაულეს რუსეთის აგენტობაში.



სრულად აღირიცხება საპროცესო შეთანხმებებიდან შემოსული თანხები ბიუჯეტში.

3. ფინანსური ელემენტის შემცირება/გაუქმება

ჯარიმა ყველა სისხლის სამართლის სისტემაში არსებობს. მას შედარებით მსუბუქი დანაშაულისა და ეკონომიკური მაქინაციის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, თუმცა ქართული საპროცესო შეთანხმების სისტემაში გამოყენებული ჯარიმების ბუნდოვანება მათთან დაკავშირებით ბევრ კითხვას აჩენს. „თავისუფლებისთვის ნაღდი ანგარიშსწორების“ დღევანდელი პრაქტიკა, როცა ფულის გადახდით ათეულობით წლით თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილება არის შესაძლებელი, გაუმართლებელია.

ჯარიმა დანაშაულის შესაბამისი უნდა იყოს და ის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომისა და შემცირებული ვადით პატიმრობასთან ერთად, ალტერნატივის სახით უნდა გამოიყენებოდეს. საპროცესო შეთანხმებების დროს პროკურორებს დისკრეციის უფლება ყველა ქვეყანაში აქვთ მინიჭებული, თუმცა ასევე ყველა გამართულ სისტემაში არსებობს გარკვეული რეგულირება, რომელიც მათ უფლებამოსილებას მოსამართლეების უფლებამოსილებასთან დააბალანსებს.

4. განაჩენის გამოტანა: საჭის კვლავ მოსამართლეებისთვის დათმობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს იმ სასჯელების ზომებს, რომლებიც კონკრეტული დანაშაულების შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სახელმძღვანელო პრინციპები კი მოსამართლეებს „აკვალანებს“, როგორ გამოიყენონ ეს დებულებები. როგორც ითქვა, პრაქტიკაში მოსამართლეები შეთავაზებულ პრინციპებს თითქმის არასოდეს უხევევენ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ მათ იმის უფლება შეეზღუდათ, რომ კანონით დაწესებულ მინიმუმზე ნაკლები სასჯელი გამოიყენონ (თუ ეს საქმე საპროცესო შეთანხმებით არ სრულდება).

ამის შედეგად მოსამართლეების დისკრეციის უფლება შეიზღუდა, ხოლო პროკურორების არა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მოსამართლეებს უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენების უფლება უნდა აღუდგეთ. ეს მათ საშუალებას მისცემს, განსაკუთრებული პირობები გაითვალისწინონ და ბრალდებული აღიარებისთვისა და მონანიებისთვის წაახალისონ. რაკი საპროცესო შეთანხმებებით პროკურორებს ეძლევათ ასეთი შესაძლებლობა, ის მოსამართლეებსაც უნდა მიეცეთ.

5. მეტ მოსამართლესა და ციხეში ინვესტირება

მეტ მოსამართლესა და ციხეში ინვესტირება საპროცესო შეთანხმების ხშირად გამოყენების აუცილებლობას შეამცირებდა. იმის შანსი ნაკლებად არსებობს, რომ მთავრობა საპროცესო შეთანხმების სრულად გაუქმებისთვის საკმარის მოსამართლეთა კორპუსს და ციხეებს მცირე დროში შექმნის, მაგრამ



ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯების გადადგმა, გრძელვადიან პერსპექტივაში, სიტუაციას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა.

6. მსხვერპლის როლის გაზრდა

საპროცესო შეთანხმებები არ უნდა გაფორმდეს იმ პირობებში, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, როგორც მინიმუმი, აუცილებელი უნდა იყოს მსხვერპლის ან მისი წარმომადგენლების თანხმობა.

თუ გსურთ, ავტომატურად მიიღოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიშები, დარეგისტრირდით ჩვენს ვებგვერდზე:

www.transparency.ge

სიახლეების გამოწერა

ანგარიში მომზადებულია „საქართველოს საერთაშორისო ვადლებულებების მონიტორინგის“ პროექტის ფარგლებში, ირლანდიის დახმარებითა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს დაფინანსებით. ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და არ ასახავს დონორების ოფიციალურ პოზიციას